საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030160461270819

№ 01-169/მ **23 / აპრილი / 2019 წ.**

თ ა მ ა რ გ ა ბ უ ნ ი ა ს ა დ ა ქ ე თ ე ვ ა ნ გ ო გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ქ. ვილნიუსში (ლიეტუვა), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და შიდსის, ტუბერკულუიოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის ორგანიზებით დაგეგმილ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მე-3 ერთობლივ შეხვედრაში („ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა უკეთესი მმართველობითა და ბიუჯეტირებით“) მონაწილეობის მიღების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 25 აპრილიდან 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით (ორი დღის ვადით) ქ. ვილნიუსში (ლიეტუვა) **მივლინებულ იქნენ** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - **თამარ გაბუნია** და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ქეთევან გოგინაშვილი.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს ორგანიზატორი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **თამარ გაბუნიასთვის** სადღეღამისო ნორმის დანამატის ანაზღაურება.

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 23 აპრილის №01-4024 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად დავით სერგეენკო